# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—კვირა, 15 ოქტომბერი 1900 წ. № 1268

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели"—„Моамбе".

ტელეფონი № 372.



დაიბეჭდა და იყიდება წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის **კიოსკში** და წ.-კითხ. გამ. საზოგ. მაღაზიაში **შ. არაგვისპირელის**

## პირველი წიგნი

**ფასი ათი შაური**

პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნი შეუძლიათ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გადახდებათ მათ, ვინც ქართ. ამხ. კიოსკიდან დაიბარებს და წიგნის ღირებულ ფასს (ათ შაურს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

---

ტფილისის კერძო

## სამკურნალო

**მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

**დილით:**

გ. ი. შიშინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. ძულიანი—ყურის, ყელის და ცხვირის—10—11 საათამდე.

ი. პ. ასალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალის 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვების და შინაგანი—12—1 საათამდე.

მ. გ. ბეზირგანოვი—შინაგანი და ბავშვების—1—2 საათამდე.

გ. დ. მარკევიჩი — სადოსტაქრო $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისის, კანის და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 საათ.

**საღამოთი:**

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი — შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევის და დარიგების 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტა ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (გარანტოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი.

(წლ.)


# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**13 ოქტომბერი**

**პეტერბურგი.** რკინის გზის წესიერი მიმოსვლა აღადგინეს ტიანძინიდან შანჰაი-გუანამდე 20 სექტემბერს, შემდეგ ძინჯოუფუმდე—27 სექტემბერს. ბეიტანის ციხის ახლოს დანგრეულ ლიანდაგს ნაღმები გაუკეთეს. მუშაობას ფრთხილად აწარმოებენ. გამოიღეს 40 ნაღმამდე; მოხდა ორი აფეთქება, რის გამო ორი კაცი დაშავდა.

**მადრიდი.** ასკარაგამ გამოაცხადა, რომ იგი განაგრძობს იმავე საგარეო პოლიტიკას, რომელსაც იგი აქამდე ადგა. ისპანიის საელჩო პეკინში გაუქმებულ იქმნა.

**შანჰაი.** ხმები დადის, რომ გერმანელებს განზრახვა აქვთ ამ მოკლე ხანში გაილაშქრონ იანძესველისაკენ.

**მოსკოვი.** ბრიანსკის გზაზე სადგურ დმიტროვიდან გამოსული საქონლის მატარებელი, ლიტერა ბ. დაეჯახა გუშინ სადგურ ბელიციდან გამოსულ ორ ვაგონს. 12 ვაგონი დაიმტვრა; მოკლულ იქმნა ობერ-კონდუქტორი, მაშინისტის თანაშემწე დაიჭრა; მგზავრთა მატარებელთა მიმოსვლის დროს სჭირდებათ გადასვლა ერთი მატარებლიდან მეორე მატარებელში.

**როსტოვი-დონზე.** ეს არის მოვიდა ცნობა, რომ ბერდიანსკ-ტავრიჩესკში დღეს, გათენებისას, ღელვის დროს, რომელსაც თან დაჰყვა წვიმა, ზღვის ტალღებმა დაჰფარეს ქალაქის ზღვის პირის ნაწილი, დაანგრიეს რამდენიმე სახლი, ბოლაზი და რკინის გზა. ხაზინას და მცხოვრებლებს მოუვიდათ დიდი ზარალი. კაცებიც იმსხვერპლა.

**ლონდონი.** ანსუდან 5 ოქტომბრის თარიღით იტყობინებიან, რომ პაოტინფუში წასულმა ექსპედიციამ დაიბანაკა 3 ოქტომბერს გუჩენდიანთან, სადაც ცნობა მოვიდა, რომ 2000 კაცისაგან შემდგარმა იმპერატორის ჯარების რაზმმა მიიწია გვერდზე, მოკავშირეთა ჯარების გალაშქრების გზის ჩრდილოეთ დასავლეთით. კოლონა ხელახლად დაიძრა და 4 ოქტომბერს მიაღწია ანსის და დაიჭირა იგი. დღეს იმპერატორის ჯარების რაზმმა სროლა აუტეხა გერმანელ სადარაჯო რაზმებს 7 მილის მანძილზე ანსუდან. გერმანელები დაეცნენ ჩინელებს, დაამარცხეს ისინი ძლიერი ბრძოლის შემდეგ და გააქციეს. დავლად აიღეს ორი ზარბაზანი, ბევრი სხვა და სხვა ნაირი იარაღი და ოთხი დროშა. მოელიან, რომ მტრის წინააღმდეგ გაიმართება გალაშქრება, რომლის ბაზისად იქნება პაოტინფუ.

**პეკინი.** ცინმა და ლი-ხუნ-ჩანგმა შეატყობინეს საელჩოებს ბრძანებები, რომლების ძალით თავადები და მინისტრები, უწესოების მოთავენი დასჯილ იქმნებიან მათ დანაშაულობის დაგვარად. იმპერატორი სცნობს, რომ ტუნფუსიანმა ჩაიდინა დიდი ბოროტ-მოქმედებანი და მიანდო ცინსა და ლიხუნ-ჩანგს აღმოაჩინონ ისეთი სასჯელი, რომელიც ეკუთვნის ტუნფუსიანს და თავადებს და რომელსაც თხოულობენ ევროპიელები. კომისარები ამბობენ, რომ იმპერატორმა დასაჯა კიდეც დაუყოვნებლივ რამდენიმე თავადი. ისინი ირწმუნებიან, რომ კანი მოკვდა სატკივრებისაგან და რომ ტუანი და ჩუანი არ იმყოფებიან იმპერატორის სასახლეშიო. ეს ცნობები ვერ აკმაყოფილებენ ევროპიელ მისსიებს.

---

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ «მმართველობის მოამბეში» დაბეჭდილია შემდეგი ცნობა: «თავის დროზედ გამოცხადებულ მთავრობის ცნობებში ნაჩვენები იყო საფუძველი, რომლითაც ხელმძღვანელობდა რუსეთის მთავრობა, როდესაც გამოიხმო რუსეთის ელჩი მთელი მისსიით პეკინიდან ტიანძინში. რადგანაც რუსეთს სხვა მიზანი, გარდა ჩინეთთან წესიერ ურთი-ერთობის სწრაფი აღდგენისა, არა ჰქონია, ამისათვის იმპერატორის მთავრობამ მაშინვე გამოაცხადა, რა-წამს ჩინეთის მთავრობა დანიშნავს რწმუნებულებს მოსალაპარაკებლად სახელმწიფოებთან, რუსეთიც თავის მხრივ, ყველა უცხო მთავრობებთან შეთანხმებით, დაუყოვნებლივ დანიშნავს ამ საგნისათვის რწმუნებულებს და გაჰგზავნის მათ იმ ადგილას, რომელიც ამორჩეულ იქნება ხსენებულ მოლაპარაკების გასამართავად.»

ბოგდიხანის ბრძანებით პეკინში მყოფი წარჩინებული მოხელენი — ლი-ხუნჩანგი და თავადი ცინი — დაინიშნენ ჩინეთის მთავრობის რწმუნებულებად და აღჭურვილ არიან უფლებებით, რომელიც საჭიროა უცხოეთის რწმუნებულებთან პირდაპირ მოლაპარაკების გასამართავად.

ამის გამო ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი ბრძანებით, რუსეთის ელჩს პეკინში მიწერილობა გაეგზავნა დაბრუნდეს ისევ სატახტო ქალაქში და, რაც შეიძლება მალე, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად შეუდგეს ჩინეთის რწმუნებულებთან მოლაპარაკების დაწყებას.

2 ოქტომბრის თარიღით მოწერილი დეპეშით დესტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი გირსი იტყობინება, რომ ის გაემგზავრა ტიანძინიდან პეკინში.»

∝ ჩინეთის საქმემ, მთელი უცხოეთის პრესსის ფიქრით, ფეხი შედგა ახალ ხანაში, რომელშიაც ნამეტანი ოპტიმისტიური გაზეთები ჰხედვენ უკვე ჩინეთის არეულობის დასასრულის დაწყებას. «ტანი» ჰფიქრობს, რომ დღეს-ხვალ პეკინში დაიწყება მოლაპარაკება მშვიდობიანობის ჩამოგდებაზედ. გარეგანის შეხედულებით, აღარაფერი აღარ დაუშლით სახელმწიფოებს სრულის თანხმობით მოჰკიდონ ხელი ამ მეორე ნაწილს თავისი მძიმე საგნისას ჩინეთში. რუსეთის ელჩი ბრუნდება პეკინში; ლიხუნ-ჩანგი და თავადი ცინი თათბირობენ ელჩებთან მასზედ, თუ როდის დაინიშნოს პირველი სხდომა ზავის თაობაზედ მოლაპარაკებისა; მეორეს მხრით, საფრანგეთის მთავრობაც აშურებს მშვიდობიანობაზედ მოლაპარაკების დაწყებას იმ თავისი ნოტის ძალით, რომელიც თანაგრძნობით იყო მიღებული ყველა ქვეყნებისაგან.

ჩინეთის დიპლომატიურ წარმომადგენელთაგან უცხოეთის სახელმწიფოებში ყველაზედ ნამეტანს მხნეობას იჩენს ჩინეთის ელჩი ვაშინგტონში ვუ-ტინ-ფანი, ის ჰმოწმობს იმპერატორის ბძანებების სინამდვილეს შესახებ დამნაშავეთა დასჯისა; ის ამტკიცებს, რომ ჩინეთის მთავ-

რობის გადასვლა სინანფუში გაუადვილებს ევროპიელებს მასთან საქმის დაჭერასა. დასასრულ, იგივე აცხადებს სრულს იმედს იმისას, რომ როდესაც დაიწყება მშვიდობიანობის მოლაპარაკება, მაშინ დინასტიის წინააღმდეგი უწესოებანიც დასცხრებიან. დინასტიის მტრებს გული მიეცათ ეხლა იმაზედ, რომ ისინი მთავრობას დაღუპულად ჰსთვლიან; მშვიდობიანობაზე მოლაპარაკების დაწყება წინააღმდეგს დაუმტკიცებს მათ და ისინი ძალა-უნებურად დამშვიდდებიან.

საზოგადოთ, პარიზის გაზეთის ცოტა გაზვიადებულად მიაჩნია ჩინეთის დიპლომატის ოპტიმიზმი.

«ბერლინერ ტაგებლატიც», საუბრადღებო წყაროებიდან მიღებულ ცნობების ძალით, შესაძლებლად სთვლის დაამტკიცოს, რომ ეხლა, როდესაც სახელმწიფოებმა შეიმუშავეს ჯერ-ჯერობითი შეთანხმება შესახებ შემდეგის მოქმედებისა ჩინეთში, მთელი ჩინეთის საქმე ახალ ხანაში შევიდა. ეხლა საქმე იმაზედ მიდგა, რომ აცნობონ ჩინეთის მთავრობას, ანუ თუ მას ვერ მიაწვდენენ ამ ამბავს, იმის რწმუნებულებს—ლი-ხუნ-ჩანგსა და ცინს მაინც, შესახებ იმ შედეგისა, რომელიც მოჰყვა სახელმწიფოთა შორის მიწერ-მოწერას და ამათ ჩინეთის მთავრობას ათქმევინონ მოკლეთ და გაუგებავად თავისი აზრი შესახებ იმ მოთხოვნილებათა, რომელნიც წარუდგინეს მას მოკავშირე სახელმწიფოებმა.

ჩვენ მოვიყვანეთ შეხედულებანი საფრანგეთის და გერმანიის გაზეთებისა. რაც შეეხება ინგლისურ პრესსას, უნდა ვსთქვათ, რომ კონსერვატიული ნაწილი მისი ისევ წინანდებურად ჰბეჭდავს შანხაიში და სხვა ადგილებში მოჭორებულ დეპეშებს, რომელთაც მხოლოდ ერთი საგანი აქვთ—შიშის ზარი დასცენ საზოგადოებას. მაგალითად, «დაილი ტელეგრაფს» დეპეშით სწერენ პეტერბურგიდან, რომ წინააღმდეგ უცხოეთის გაზეთებში დაბეჭდილ მრავალს გარედან ჩაგონებულ და დამარღვეველ წერილებისა, რუსეთმა სრულებით შემოუერთა მანჯურია თავის სამფლობელოს. პეტერბურგის ამ საქმის მცოდნე წრეებისათვის სრულიადაც არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ მიუხედავად რუსეთისაგან მოცემულ თანხმობისა, რუსეთის ჯარები არასოდეს არ იბრძოლებენ გრაფი ვალდერზეეს სარდლობით. «ეს იმასაკი არ მოასწავებს, რომ რუსის ჯარები წამოყვანილი იქნებიან ჩინეთიდან,—ეთქვა, ვითომ, სამხედრო მინისტრის რჩევის ერთს წევს კორესპონდენტისათვის. პირიქით გარწმუნებთ თქვენ, რომ ორის წლის განმავლობაში მაინც არ იქმნებიან წაყვანილნი შორეული აღმოსავლეთიდან არც ერთი რუსის ჯარის კაცი და არც ერთი სამხედრო გემი. ჩვენ გვყავს ჩვენი აზიის სამფლობელოში შეიარაღებული და ნიადაგ ომისათვის დამზადებული 300,000 კაცზედ მეტი».

«დაილი ტელეგრაფი» განთქმულია თავისი ცრუ დეპეშებით.

საზოგადოთ, კითხვა შესახებ რუსეთის სამხედრო ძალის რაოდენობისა აღმოსავლეთ აზიაში იქცევს ერთობ დიდ ყურადღებას ინგლისის გაზეთებისას. «ტაიმს»-იც გულ-მოდგინედ არწმუნებს თავის მკითხველებს, რომ ამ ბოლოს დროს გავრცელებულ ცნობებიდან შესახებ რუსეთის ჯარის ზოგიერთ ნაწილის დაშლისა, სულაც არ უნდა გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ ჩინეთის საზღვრებში რუსეთს ეხლა მცირე რაზმები-ღა რჩებოდეს. რუსის ჯარი მანჯურიაში და ამურის ახლო ოლქებში ჯერ კიდევ 130,000. მათ რიცხვში არიან: 6 აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა ბრიგადა, 3 ქვეითა ჯარის ბრიგადა ევროპიული რუსეთიდან და ორი ადგილობრივია; ცხენოსანი ჯარიდან არიან: ერთი პოლკი ამურის დრაგუნთა, 7 პოლკი ზაბაიკალელი ყაზახებისა, ორი დივიზია ამურის ყაზახებისა და ერთი დივიზია უსსურიელ ყაზახებისა. ამას უნდა დაუმატოთ საკმაო რიცხვი არტილერიისა და საპიორებისა.

პეკინში ჩასვლის უმალვე გრაფ ვალდერზეეს ჰქონია ხანგრძლივი თათბირი გენერლებთან. მოისმინა რა ყველა გენერლების მოხსენება, გრაფმა ვალდერზეემ მიიღო ზოგიერთნი წარმომადგენელნი უცხოეთის დიპლომატიური კორპუსისა; ყოველ ამათგანთან მთავარ-სარდალმა დიდ-ხანს ისაუბრა და უმთავრესად ყურადღებას აქცევდა მათ ნაამბობს უწესოებათა გაჩენისა და საელჩოებზედ დაცემის შესახებ. გრაფი ვალდერზეე ეჭვობს, რომ ჩინეთის მთავრობამ გასცეს შფოთის მოთავენი და ჩინეთის იმპერატორი პეკინში დაბრუნდეს. გალაშქრებას პაოტინფუში მთავარ-სარდალი გათავებულად სთვლის. იგი გამართული იყო იმ უბედურ 100 უცხოელთა დასახსნელად, რომელნიც იტანჯებოდნენ პაოტინფუში.

სატელეგრაფო მიწერ-მოწერა კარგად მოქმედობს. მთავარ-სარდალმა, გავლით ტიანძინიდან პეკინამდე, ბრძანება გასცა, რომ სასტიკად დაისაჯონ ის ჩინელები, რომელნიც გაჰბედავენ რკინის გზის ლიანდაგის წახდენას.

შანხაიში მიიღეს მთავრობის ბრძანება, რომ არსენალმა გაამლიეროს მუშაობა. ეს ბრძანება ხელმოწერილია ტუანისაგან. შანხაიში დაცულია სრული მშვიდობიანობა. იანძეზედ დადიან უცხოელი გემები.

# ახალი ამბავი

✦ უკანასკნელ დღეებში ადგილობრივი გაზეთები ბევრსა სწერენ რუსულის დრამატიულის დასის გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ. დასის მდგომარეობა მართლაც გაჭირვებულია: 30-მდე კაცი ჩამოსულა რუსეთიდან უკვე ორი კვირაა და დღემდის უსაქმოდ სხედან. დიდი ხარჯი და დიდი ზარალი მოსდის როგორც დასის ხელმძღვანელს ბ. დალსკის, ისე არტისტებსაც. გაზეთები სამართლიანად ჯავრობენ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მათი საყვედური ქართულ დრამატიულ საზოგადოებას ეხება, ხოლო ნამდვილი დამხაშავენი კი ჯერ-ჯერობით არა სჩანან. დრო მოვა და ყოველივე, რასაკვირველია, გამომჟღავნდება; მაგრამ ეხლა ჩვენ გვინდა ორიოდე სიტყვით გავაცნოთ ქართველ საზოგადოებას, თუ ვინ ჩავარდა ნამდვილ გაჭირვებაში, ვინ არის უფრო შესაბრალისი: ბ. დალსკი თავის დასით, თუ ქართული დრამატიული საზოგადოება? წელს ამ საზოგადოების გამგეობამ აღასრულა კარგა ხნის განზრახვა: სათავად-აზნაურო თეატრის იჯარით აღება. დღემდის ამ თეატრს იღებდნენ იჯარით კერძო პირები. ქართული დრამატიული საზოგადოება, რომელიც ნამდვილი პატრონია ამ თეატრისა, ბევრჯერ ცდილა ხელთ ეგდო მისი მართვა და ექსპლოატაცია. ეს თეატრსაც არგებდა, იმიტომ რომ მას საზოგადოება უფრო მოუვლის, ვიდრე კერძო მოიჯარადრები, და ქართულ დრამატ. საზოგადოებასაც შეღავათს მისცემდა. ქართულ თეატრის საქმეს დაქვეითება, სხვათა შორის, იმიტომაც ემჩნევა, რომ საშუალება ნაკლები აქვს, ხოლო თეატრის იჯარა, ცოტა არ იყოს შემოსავალს მოუმატებდა ჩვენებურს სიმპატიურს დაწესებულებას. როგორც იქმნა, საზოგადოების დიდი ხნის განზრახვა წელს იქმნა განხორციელებული, და დრამატ. საზოგადოების გამგეობამ ჩაიბარა თავად-აზნაურობის მამულის გამგეთაგან თეატრი. ჩაიბარა, მაგრამ ვაი ამისთანა ჩაბარებას!... მოლაპარაკება ზაფხულის დამდეგამდე დაიწყო. თავად-აზნაურთა მამულის გამგეობა თავიდანვე პრინციპიალურად თანახმა შეიქმნა დრამატ. საზოგადოებისთვის თეატრის გადაცემაზე. ამავე დროს ადმინისტრაციისაგან ცნობა მოეიდა, რომ არ მისცემს თეატრში წარმოდგენების გამართვის ნებას, თუ იგი გადაკეთებული არ იქმნაო. მამულის მმართველებმაც დაიწყეს გადაკეთება, როგორც ადმინისტრაციის გეგმა თხოულობდა. რაკი დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ დაინახა, რომ თეატრი გადაკეთებულ იქმნება ადმინისტრაციის მოთხოვნის თანახმად, იგი მაშივე შეუდგა მოლაპარაკების გაგრძობას. თავად-აზნაურთა მამულის გამგეობამ შეადგინა თავისი პროექტი ხელშეკრულობისა; ეს ხელშეკრულობა დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ არ მოიწონა და თავის მხრით წარუდგინა თავად-აზნაურობის მამულის მართველთ ხელშეკრულობის პროექტი. დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ბ. სულხანიშვილი რამდენჯერმე დაესწრო მამულის გამგეობის სხდომებს და აქ შემუშავდა საბოლოოდ ხელშეკრულობა. სხვათა შორის, მამულის გამგეობა ამბობდა, რომ თეატრი მზად იქნებაო სრულიად 15 სექტემბრისათვის და ამ დღიდან დაიწყოს იჯარას ვადაცაო. დრამატიულ საზოგადოების გამგეობა სიფთხილით მოიქცა და ორი კვირა წაუმატა კიდევ ამ ვადას, ესე იგი, ხელშეკრულობაში შეტანილ იქმნა მუხლი, რომ თეატრი უნდა ჩაბარდეს მზად დრამატიულ საზოგადოებას 1-ლ ოქტომბერსაო. მართლა და თეატრი პირველ ოქტომბრიდან გადვიდა დრამატ. საზოგადოების განკარგულებაში. უნდა აღვნიშნოთ აქ, რომ ამ ფაქტიურს გადაცემას თან არ მოჰყვა იურიდიულიც, ესე იგი მამულის გამგეობამ ხელის-მოწერა ხელშეკრულობაზედ გადადვა, გამგეობა ამბობდა—ჩვენ ოქმებში გვაქვს აღნიშნული, რომ თეატრს იჯარით გაძლევთ, უარს ხომ არ ვიტყვით და დაგვაცადეთ—მოვასწრობთ ხელის-მოწერასაო. ეს გარემოება ზედამხედველმა კომიტეტმაც იცოდა, და დრამატიულ საზოგადოების გამგეობაც ძალა-უნებურად უნდა დამორჩილებოდა და ეცადნა. ხელშეკრულობის დამტკიცების გადადება შეიძლებოდა, მაგრამ არ შეიძლებოდა, რასაკვირველია, თეატრის ექსპლოატაციისთვის არ ეზრუნათ და დრამატიულ საზოგადოების გამგეობაც, დაიმედებული მამულის გამგეთაგან, შეუდგა ანტრეპრენიორების ძებნას. მსურველები მალე გამოჩნდნენ და აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში გამგეობამ კიდეც მოიწვია ბ-ნი მ. ვ. დალსკი, რომელიც უკონტრაქტოდ, რასაკვირველია, არ მოვიდოდა ტფილისში... გამოცხადდა წარმოდგენების დაწყების დღეც; მაგრამ, საუბედუროდ, თეატრი ვერ გაანათეს, რადგანაც ელექტრონის მანქანა ვერ მუშაობდა რიგიანად. აღმოჩნდა, რომ საზოგადოებას „უნიონ“-ს, რომელსაც იჯარით აელო მამულისა და თეატრის განათე-

ბა, არ მოსვლოდა ახალი მანქანა რუსეთიდან. გამოწერილი ძველი კი—უვარგისი ყოფილიყო. მამულის გამგეებმა, როგორც იქმნა იშოვეს ტფილისში დროებით მანქანა, მაგრამ თეატრი მაინც ვერ გაანათეს; ასე რომ დღემდის ბ-ნმა დალსკიმ მხოლოდ ერთი წარმოდგენა გამართა და 13 დაეკარგა. ამავე დროს მოხდა ტფ. თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. სხვათა შორის, კრებაზე მამულის გამგეობის ერთ-ერთ წევრთაგანმა განაცხადა, რომ თავად-აზნაურობის მამულის გამგეობა ქართულ დრამატ. საზოგადოებასთან არის შეკრული პირობით და უნდა უზღოს მას ზარალი, რადგანაც დროზე თეატრი არ აღმოჩნდა მზადაო. ამის წინააღმდეგი არავის უთქვამს არაფერი. მალე ზარალიც გამოირკვა: ქართულ დრამატიულ საზოგადოებამ, ბ-ნ დალსკისთან შეთანხმების ძალით, 200 თუმანზე მეტი ჯარიმა გადიხადა (13 წარმოდგენაში 1625 მანათი და 500 მანათი „ნეუსტოიკა“); ამ ფულიდან ბ-ნ დალსკის უკვე გადაეცა 1300 მანათი, დანარჩენიც ორ კვირეში უნდა მიეცეს. ამდენი ფულის გაღება ხელ-მოკლე ქართულ დრამატიულ საზოგადოებისათვის დაღუპვაა, და, ეჭვს გარეშეა, მან უნდა იზღოს ზარალი, რომელიც სხვისი მიზეზით მოუვიდა. დრამატიულ საზოგადოებისა და მამულის გამგეობის შუა დადებულ, თუმცა დაუმტკიცებელის, პირობით, ეს ზარალი მამულის გამგეობამ უნდა გადაუხადოს დრამატიულ საზოგადოებას, ხოლო თვით თავისი ზარალი ეძიოს „უნიონ“-ისაგან. ეს ცხადზედ უცხადესია; მაგრამ, ჩვენდა განსაცვიფრებლად გუშინ ქალაქში ხმა გავრცელდა, ვითომც მამულის გამგეობა უარს ეუბნება დრამატიულ საზოგადოებას ზარალის ზღვევაზედაო. ჩვენ არა გვჯერა ეს ამბავი; არა გვჯერა იმიტომ, რომ თავად-აზნაურობის მამულის გამგეობას მხოლოდ ერთი გასამართლებელი საბუთი აქვს ამ საქმეში, სახელდობრ ის, რომ გადადებითა და ყოყმანით ხელ-შეკრულობა ხელ-მოუწერელი დარჩა; ჩვენ არა გვჯერა, ვიმეორებთ, რომ ამით იხელმძღვანელოს მამულის გამგეობამ, რომ უბრალო ფორმა მან ხელზე დაიხვიოს და იმით მოინდომოს ქართულ დაწესებულების დაღუპვა. მთელის თავად-აზნაურობის დამცირება იქნება, რომ ამ საქმემ სასამართლომდის მიაღწიოს და ამიტომაც ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქმნება. ნურას ვიტყვით იურიდიულ უფლებაზე, თუმცა დრამატიული საზოგადოება ამ მხრითაც მართალია. თავად-აზნაურობამ სახეში უნდა იქონიოს ზნეობრივი მხარე ამ საქმისა, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

✦ სადგურ გრაკალთან მომხდარ უბედურების მიზეზად ასახელებენ შემდეგს: სადგურ გრაკალიდან ბ-ნ კეზელს, სადგურის უფროსის თანაშემწეს, გამოუშვია გრაკლიდან კასპისაკენ სახალხო მატარებელი № 6 და დაჰვიწყებია, რომ ამ დროს გზაში იყო კასპიდან გამოსული საქონლის მატარებელი № 109, რომელიც სახალხო მატარებელს სადგურ გრაკალში უნდა შეჰყროდა.

ბ-ნ კეზელისათვის იმ გარემოებას შეუშლია ხელი, რომ იმ დროს, როდესაც სახალხო მატარებელი სადგურ გრაკალში მდგარა, კასპიდან მოსვლია კითხვითი დეპეშა—თავისუფალია გზა, თუ არაო? (Путь свободенъ?). ქაღალდზედ კითხვითი ნიშანი ვერ შეუნიშნავს და ამასთანავე ბაქანზედ რომ გამოსულა მეორე გზაზედ დაუნახავს საქონლის მატარებელი, ჰგონებია ეს კასპიდან მომავალი მატარებელი მოსულაო და მიუცია განკარგულება სახალხო მატარებლის გამგზავრების შესახებ.

როცა სახალხო მატარებელი უკვე გასცილებია სადგურს, ბ-ნს კეზელს დაუნახავს თავისი შეცდომა, ვაგონეტკით გამოჰკიდებია უკან სახალხო მატარებელს; რათა აეცდინა თავიდან მოსალოდნელი უბედურება, მაგრამ გვიანდა.

როცა სახალხო მატარებლის მემანქანეს შეუნიშნავს პირდაპირ მომავალი საქონლის მატარებელი, მაშინვე ცეცხლი გაუნელებია, ვისტენგაუზენის ტორმუზით მატარებელი შეუჩერებია. საქონლის მატარებლის მემანქანეცა ცდილა მატარებლის შეჩერებას, მაგრამ ვერ მოუხერხებია, რადგანაც მატარებელი თავ-ქვე თურმე მიქანაობდა.

ორივე მატარებლის ორთქლმავალი ერთმანერთს დაეჯახა და ერთი მეორეს მიეჭყლიტა, საქონლის მატარებლის 15 ნავთის ქვაბი ნაჭერ-ნაჭერად იქცნენ, ორივე მატარებლების მაშინისტები და მათი ორი თანაშემწე დაჯახების დროს ძირს გადმოცვივდნენ დასახიჩრებულნი. საქონლის მატარებელზე ნაკუწ-ნაკუწად იქცნენ ერთი ობერ-კონდუქტორი ა. გაბუნია და ორიც ტორმოზის კონდუქტორი ბერძნიშვილი და დეკანოზიძე, სახალხო მატარებელზე, ერთი ყარაული და ორი 13—12 წლის ბალღი, რომელნიც შიშისაგან ერთმანერთს გადახვეოდნენ და ორივენი მიმტვრეულ ვაგონს ერთად შეეჭყლიტა. სურათი საშინელია. დამტვრეულ ვაგონებზე აქა-იქ მოსჩანს უბედურ მსხვერპლების შიგნეულება და ტანის სხვა და სხვა ნაწილი. სულ მოკვდა შვიდი კაცი, დასახიჩრდა 8. ერთს კონდუქტორს ფეხები მოეტანა მიმტვრეულ ვაგონებს შუა და როდესაც ტფილისის სადგურიდან მისაშველებელი მატარებელი გაგზავნეს, მხოლოდ მაშინ ამოაძრეს უბედური. მისი საშინელი გმინვა ექვსი საათის განმავლობაში მოისმოდა დამტვრეულ ვაგონიდან. რამდენიმე მგზავრი ცოცხალ-მკვდარი მატარებლის ნამსხვრევებიდან ძლივს გამოიტანეს.

✦ ამჟამად, „კავკაზის“ სიტყვით, სწარმოებს რევიზია **ტფილისის საგუბერნიო მართველობისა**. სარევიზიო კომისიას თავმჯდომარეობს მთავარმართებლის რჩევის წევრი კ. კ. კესტერი; კომისიის წევრებად არიან: მთავარმართებლის განკარგულებაში მყოფი საგანგებო მინდობილებათა მოხელე თავ. კურაკინი, ექიმი იულსკი და ინჟენერი ბუტენკო.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ გუშინ, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, საძირკველი ჩაჰყარეს **ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის** შენობისა ვერაზე.

უცნაურად მოქცეულან საქმის გამგენი! ნუ თუ ამ გვარ დიდმნიშვნელოვან შემთხვევაზე დასასწრებლად გაზეთის რედაქციას მიწვევა არ უნდოდა?!

✦ ახლო მომავალში პეტერბურგში არსდება ახალი საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს განათლება გაავრცელოს რუსეთის განაპირა ადგილებში. საზოგადოების წევრებად შეუძლიანთ ჩაეწერონ ყველა მათ, ვინც თანაუგრძნობს რუსეთის იმპერიის უცხო ტომთა ერების განათლების საქმეს.

✦ სამშაბათს, 17 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, დიდი მთავრის ქუჩაზე, ჩაჰყრიან საძირკველს **ტფილისის ქალთა მეორე გიმნაზიის** შენობისას. კურთხევაზე მიწვეულია დიდძალი საზოგადოება.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ სათავად-აზნაურო თეატრის განათების საქმე მოეწყო, რადგანაც ახალი დინამომაშინა დადგეს. დღეიდან იწყება **რუსული დრამატიული წარმოდგენები**. დღეს წარმოადგენენ „ოტელოს“.

✦ ტფილისის სექალაქო სასწავლებელთა გამგე კომისიას დაუდგენია **შემწეობა** აღმოუჩინოს ქალაქის საშუალებიდან: 1) სახალხო კითხვათა და წარმოდგენათა კომისიას 500 მანეთით, 2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ორ უფასო ბიბლიოთეკას 190 მანეთით და 3) ვერის საკვირაო სკოლას 100 მანეთით.

✦ უწმ. სინოდის **ობერ-პროკურორს განკარგულება** მოუხდენია, რომ სასულიერო დაწესებულებებმა, მათ შორის საქართველოს საექსარხოსო მმართველობამაც, 1901 წელს საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა და წერა-კითხვის სკოლების გახსნის დროს არ დახარჯონ იმის მეტი, რაც ხარჯთაღრიცხვით იქმნება დანიშნული.

✦ დღეს დილით ხელოსანთა **ამხანაგობის „შრომის“** სადგომში წაიკითხვენ ახლად დამტკიცებულს წესდებას ამ ამხანაგობისას.

✦ ტფ. ქალაქის საბჭოს ხვალინდელს კრებას წარედგინება სხვათა შორის, საკითხი საზოგადოების „ჰელიოსის“ მიერ ქალაქთან **ხელშეკრულების დარღვევის** შესახებ. საბჭომ ახალი კონკურსი უნდა დაჰნიშნოს.

✦ ქუთაისის გუბერნიის ადგილ-მამულებზე დაწესებულ **გადასახადის განაწილებისათვის** შედგენილმა კომისიებმა უკვე დაიწყეს თავისი მოქმედება. კომისიებში მონაწილეობას იღებენ მომრიგებელი შუამავლები.

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ეს ქუთაისიდან სწერენ, რომ **მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭოს სხდომები** რიგ-რიგად მოხდება ხან ქუთაისში, ხან ჭიათურაში. მაგალითად: 1-ლ ოქტომბერს სხდომა იყო ქუთაისში, 15-ს იქნება ჭიათურაში.

✦ ამავე გაზეთს სწერენ იქიდანვე, რომ ქუთაისის განაპირა ქუჩებში ბავშვებ შორის **ქუნთრუშა** მძვინვარებს.

✦ ამ დღეებში ტფ. საოლქო სასამართლომ განიხილა კნ. მ. ნ. **ჯამბაკურიან-ორბელიანისა** და გარდაცვალებულის ბ. დ. გაბაშვილის მემკვიდრეების **დავა 50 ათას** მანეთის შესახებ. ამ ფულს უჩივოდა კნ. ორბელიანისა ხსენებულს გაბაშვილის ცოლსა და ოჯახს. ტფილისის საოლქო სასამართლომ მიუსაჯა კნ. ორბელიანისას ეს ფული.

✦ „ივერია“-ს ზესტაფონიდან ატყობინებენ, რომ, 28 სექტემბერს ამორჩეულს კაცებს ადგილობრივ მცხოვრებთა კრება მოუწყვიათ და წაუკითხნიათ თხოვნა, რომელიც მთავრობისათვის უნდა მიერთმიათ, რომ ზესტაფონი „პოსადათ“ გა-

დაკეთდეს „შორაპნისა“ ან და „შორაპან-ყვირილას“ სახელით, მაგრამ ერთის კაცისა გამო ხელი ყველას აღარ მოუწერია თხოვნაზე და ჯერჯერობით საქმე ისევ ჩაშლილა.

✦ რედაქციამ მიიღო ორი ახალი ქართული წიგნაკი, რომელთა შესახებ მათი გამომცემელი ბ. ზ. ჭიჭინაძე შემდეგსა გვწერს:

1) „ჭუსეან ხაბაზის ლექსები“. ჰუსეინ ხაბაზი ქართველი მაჰმადიანია, ბათუმის ოლქის სოფ. აჭყვაში სცხოვრობს. მოხუცი კაცია, ქართველ მაჰმადიანებში ქებულ მელექსეთ ითვლება. ამ რამდენიმე წლის წინად მე ვიყავ მასთან და ეს ლექსები მის კარნახით დავსწერე. დაიბეჭდა 3000 ცალი მათსავე სასარგებლოდ. თუ ვინმე მოითხოვს, მე გაუგზავნი უფასოდ. თავში ანბანიც მიტომ აქვს მოთავსებული.

2) „სახალხო ლექსები“, აქარაშივე შეკრებილი ადრე, თვით მათშივეა გამოთქმული, დაიბეჭდა 3000 ცალი მათსავე სასარგებლოდ. ორივე წიგნის 3000 ცალი დარიგდება მუქთად.

## საღამოს დეპეშები

### 14 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** 13 ოქტომბერს ბალტიის რკინის გზაზედ, პეტერბურგიდან ოთხი ვერსის მანძილზედ, ერთმანერთს დაეჯახნენ ორი სახალხო მატარებელი. დაიმსხვრა სამი ვაგონი და ორთქმავალი. სამი მგზავრი მძიმედ დაშავდა, ხუთი სუმბუქად.

**კაპშტადტი.** ბურებმა დაიჭირეს იაკობსდალი. მათ წინააღმდეგობა გაუწია მეციხოვნეთა რაზმმა, რომელიც შესდგებოდა ახალშენთა ჯარების 52 კაცისაგან და რომელთაც 34 კაცი დაჰკარგეს.

**ვაშინგტონი.** ჩინეთის აქაურმა ელჩმა მიიღო დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ კონის სიკვდილის მიზეზი ავადმყოფობაა.

შანსის გუბერნატორმა თავი მოიკლა.

**პეკინი.** კოლონნა, რომელსაც სანოვაგე მოჰქონდა და რომელსაც მიაცილებდა 12 იტალიელი ზღვაოსანი, 7 ოქტომბერს მატოუსთან შეეხეჩა „დიდი მუშტის“ ბრბოს. უკანასკნელნი უკუქცეულ იქმნენ და ზარალიც ნახეს.

**ლონდონი.** 25 ოქტომბერს გიანს ბოტამ თავისი რაზმით გზა მოუჭრა, გეიდელბურგის და გრეიდელჩეშტადტის შუა, მატარებელს, რომლითაც მიდიოდა დამზვერავ ჯარის მსროლელთა ბრიგადა. მოკლულ იქმნენ ინგლისის ორი ოფიცერი და რამდენიმე ჯარისკაცი და ბოლოს რაზმი იძულებული შეიქმნა დამორჩილებოდა.

**მასერუ.** პრეზიდენტი შტეინი ფურიესბურეშია და ეს ქალაქი მან გამოაცხადა ორანჟეს რესპუბლიკის სატახტო ქალაქად.

**პეტერბურგის ბირჟა 13 ოქტომბ.**

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მ ი ნ ა თ ი | | |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | $96\frac{1}{8}$ |
| $4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | $99\frac{1}{4}$ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | — | $96\frac{3}{8}$ |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | $333\frac{1}{4}$ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | 281 | — | — |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | $214\frac{3}{4}$ |
| $3\frac{1}{2}$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | $88\frac{1}{4}$ | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | — | — |
| $4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . | — | — | 85 |

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

## გამოსადეგი ცნობანი

### ნ ი ხ რ ი

ხორცი ძროხისა . 1 გ. $8\frac{1}{2}$ კ.
სუკი . . . . . » — 15 კ.
» ცხვრისა . . . » — $8\frac{1}{2}$ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» გამჩისა » » » — 8 კ.
» ღორის ბარკალი სალორეთი . 1 » — 10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იისფერი ბეჭედი ადევს, გამჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

ბური ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » $3\frac{1}{2}$ »
» » III » » » 3 »
იგივე თორნის I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » $3\frac{1}{2}$ »
ლავაში ჯვ. მამ. I » » » 6 »
» » II » » » 4 »

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: ვოგზალზე:
ხორბალი საუკ. ფუთი. მ. კ. მ. კ.,

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 კაპ. | | |
| ქერი . . . . . . | 1— | მ.— | 70 კ. | | |
| სიმინდი . . . . . | 1— | | 65 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. . | 1 | 1 | —20— | | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 51 | — | 10 |
| კომბოსტო. . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| კარტოფილი.. . . | 1 | — | 55 | — | — |
| ხახვი . . . . . . | 1 | — | 30 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 25 | — | — |
| ბზე. . . . . . . | 1 | — | 23 | — | — |

შუშა რძხილისა 1 სრული საყ საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ღვინო თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპ-დან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე ხარი შესაბმელი, 40 მ., კამეჩი 60 მ., კამეჩი საკლავი 26 მ.-დან 34 მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. — კ. | | № 4—6 მ 75 კ |
| № 1—8 » 25 » | | № 5—6 » 50 » |
| № 2—7 » 75 » | | № 6—6 » — » |
| № 3—7 » 25 » | | № 7—5 » 75 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 53 კ. 53 კ.-მდე, ნოვოროსსიაში 54 კ. 55 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი ოქმე ფუთი 5 მან. 90 კ.
„ ფშხვნილი „ 5 „ »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გაუსუფ. 6 მ. 20 კ. 8მ. 20 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 45 კ.—4 მ. 15 კ., გარეცხილი—მ. 8 მ. კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ისაიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუგურეთისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ზაროვსა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუნიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი №** 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი №** 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ.

**მატარებელი № 8** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

გამომც. ზ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Октября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.